საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

ქალბატონო/ბატონო,

გაცნობებთ, რომ შპს „ლაიმსთოუნ ჯორჯია“-ს დაგეგმილი აქვს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ღორეშას მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის (გამარმარილოებული მოსაპირკეთებელი კირქვა) მოპოვება. წიაღითსარგებლობის ობიექტის დამუშავება მოხდება ღია კარიერული წესით. ობიექტიდან მოპოვებული წიაღისეული გამოყენებული იქნება სამშენებლო საქმიანობაში (სხვა სამშენებლო მასალა).

“გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის” მე-5 მუხლის (ზოგადი დებულებანი) მოთხოვნების მიხედვით: გზშ-ს ექვემდებარება ამ კოდექსის I დანართით გათვალისწინებული საქმიანობა და ამავე კოდექსის II დანართით გათვალისწინებული ის საქმიანობა, რომელიც ამ კოდექსის მე-7 მუხლით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურის შესაბამისად მიღებული სკრინინგის გადაწყვეტილების საფუძველზე დაექვემდებარება გზშ-ს.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის II დანართის 2.1. ქვეპუნქტის მიხედვით: „2.1. ტორფის ან მყარი სასარგებლო წიაღისეულის (გარდა ქვიშა-ხრეშისა) ღია კარიერული წესით მოპოვება, როდესაც მოპოვების ადგილის ზედაპირი 10 ჰექტარზე მეტია“ ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 03 თებერვლის N22/721 წერილით გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარდგენილი იყო ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ღორეშას მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის, 890625 მ3 „ღორეშას“ კირქვის (სხვა საშენი მასალა) მოპოვების სკრინინგის განცხადება.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 09 მარტის „ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ღორეშას მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის, „ღორეშას“ კირქვის (სხვა საშენი მასალა) მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ N2-210 ბრძანებით დაგეგმილი საქმიანობა ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურას. შესაბამისად, შპს „ლაიმსთოუნ ჯორჯია“ გაივლის გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებულ პროცედურებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, განსახილველად და სკოპინგის დასკვნის მისაღებად წარმოგიდგენთ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ღორეშას მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის, „ღორეშას“ კირქვის (სხვა საშენი მასალა) მოპოვების პროექტის სკოპინგის ანგარიშს.

დანართი:

1. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება - ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ღორეშას მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის, „ღორეშას“ კირქვის (სხვა საშენი მასალა) მოპოვების პროექტის სკოპინგის ანგარიში - 1 ეგზემპლიარი (ნაბეჭდი) და ელექტრონული ვერსია (CD დისკი 1 ცალი);

2. ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად), CD დისკი 1 ცალ;.

№ 7474
26.04.2021
1/20D

პატივისცემით,

შპს „ლაიმსთოუნ ჯორჯია“-ს დირექტორი

გიორგი გაბაიძე

LIMESTONE GEORGIA LTD
400276143

სოფ. ნომერი: 577 276721
სოფ. სახელი: სანდრო ჯიბლაძე